ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 99

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: გული ხაჟომიას, ლაშა ცამციშვილის, ლელა კამლაძის, ნინო გაგოშიძის, სოფიკო კვერნაძის, მონიკა გვენეტაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ედესი ჯგუფისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 ივნისის №44-4422175272 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: გული ხაჟომიას, ლაშა ცამციშვილის, ლელა კამლაძის, ნინო გაგოშიძის, სოფიკო კვერნაძის, მონიკა გვენეტაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ედესი ჯგუფისათვის" 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

154

ქალაქ ქუთაისის მერიის საქმეთა მმართველი

მუხლი 3. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის
№ 99 განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქეების: გული ხაჟომიას, ლაშა ცამციშვილის, ლელა კამლაძის, ნინო გაგოშიძის,
სოფიკო კვერნაძის, მონიკა გვენეტაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ედესი ჯგუფისათვის“ სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

№	მოიჯარე	პირადი/ საიდენტი-ფიკაციო ნომერი	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)	დანიშნულება
1.	მოქალაქე გული ხაჟომია	62005003864	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №34; №32; №30-ის სამხრეთით	ტროტური	4.0 კვ.მ.	03.04.06.660	400	კიბის უჯრედის მოსაწყობად
2.	მოქალაქე ლაშა ცამციშვილი	60001124221	ქალაქ ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41-ის ჩრდილოეთით	ტროტუარი	6.0 კვ.მ.	03.04.24.439	600	კიბის უჯრედის მოსაწყობად
3.	მოქალაქე ლელა კამლაძე	60001016556	ქალაქი ქუთაისი, ლადო ასათიანის ქუჩა №147-ის სამხრეთით	ტროტუარი	5.0 კვ.მ	03.04.32.805	500	კიბის უჯრედის მოსაწყობად
4.	მოქალაქე ნინო გაგოშიძე	60001152325	ქალაქი ქუთაისი, რუსთველის გამზირი №112-ის სამხრეთით	ტროტუარი	6.24 კვ.მ.	03.04.21.313	624	კიბის უჯრედის მოსაწყობად
5.	მოქალაქე სოფიკო კვერნაძე	53001054859	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №14-ის სამხრეთით	ტროტუარი	2.0 კვ.მ.	03.01.21.397	200	კიბის უჯრედის მოსაწყობად
6.	მოქალაქე მონიკა გვენეტაძე	60001027751	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №22-ის სამხრეთით	მწვანე ნარგავი (გაზონი)	1.5 კვ.მ.	03.04.25.056	150	კიბის უჯრედის მოსაწყობად
7.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ედესი ჯგუფი“	203868635	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №9-ის ჩდილოეთით	ტროტუარი	7.83 კვ.მ.	03.04.32.570	783	კიბის უჯრედის მოსაწყობად

საკრებულოს თავმჯდომარე ... ილია შენგელია